ბრძანება:**ბ44. 4424101159**
თარიღი:**10/04/2024**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებას, განათლებას, სოციალური მეწარმეობის განვითარებას, მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის“ შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N79 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების, განათლების, სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით, საუკეთესო პროექტების შესარჩევად.

2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ დახუნდარიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/;

ბ) ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/;

გ) პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) თინათინ ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელძღვანელი;

ვ) ვლასი გარდაფხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურე;

ზ) ვლადიმერ თორთლაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თ) გია ბასილაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ი) მამუკა რიჟამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

კ) ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლ) დავით ჩხობაძე - აიპ ,,იმერეთის განვითარების ცენტრის'' დირექტორი;

მ) თეონა ფურცხვანიძე - ,,ფიფლ ინ ნიდ''-ის (PIN) სოციალური პროექტების კოორდინატორი;

3. კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტები.

4.კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, პროცესის გამჭვირვალობის

ხელშეწყობის მიზნით, მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

5.დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად.

/დანართი N2 თან ერთვის/.

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა იურიდიული პირებისათვის. დანართი N3-ის შესაბამისად.

/დანართი N3 თან ერთვის/.

8. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა ფიზიკური პირებისათვის. დანართი N4-ის შესაბამისად.

/დანართი N4 თან ერთვის/.

9. დამტკიცდეს პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა იურიდიული პირებისათვის დანართი N5-ის შესაბამისად.

/დანართი N5 თან ერთვის/.

10.დამტკიცდეს პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა ფიზიკური პირებისათვის. დანართი N6-ის შესაბამისად.

/დანართი N6 თან ერთვის/.

11.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /პ.ადამაძე/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

12. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძისქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

14. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი